

499

1

გამოცემა მ.



# ჩინელები.

თათეოზ ბერაძისა

სტამბა

მიხეილ გაჩეჩილაძისა

დ. ყვირილა

1900

გამოცემა შ. გაჩეჩილაძისა №1

9115

# ჩინვლები.

(თარგმანი)

~~წიგნი~~

იათეოზ ბერძენსა

~~თარგმანი~~

**სტამბა**

მიხელ გაჩეჩილაძისა

დ. ყვირილა

1900 წ.

Дазволено цензурою въ Тифлисъ 1900  
г. 19 сентября.

## ჩინელები.

ჩინელები სახლობენ აღმოსავლეთის აზიაში და თვის ქვეყანას უწოდებენ „შუაგულ იმპერიად“ მართლაც ჩინეთი მდებარეობს ამერიკის და ევროპის შუა, შემოზღუდულია ყოველი მხრიდან. მაღალი მთები და განსაკუთრებულ ქვეყანას წარმოადგენს. სიდიდით და მცხოვრებთა სიმრავლით ჩინეთი მთელს ევროპას უდრის და შესდგება რამოდენიმე ოლქისაგან, რომლებიც თვითეულად სივრცით არც ერთ ევროპის სახელმწიფოს არ ჩამორჩებიან. თვითეულს მათგანს თვისი განსაკუთრებული ჰვა და ბუნება აქვს და ზალხიც თვითეულს მათგანში სხვა და სხვა სცხოვრობს. თვით ჩინეთს შესამედი ნიწილი უჭირავს, ხოლო დანარჩენს შეადგენს მის გარე შემო მდებარე ქვეშევრდომი ადგილები: ჩრდილოეთით, მანჯურია; დასავლეთით მანგოლია, ჩინეთის თურქესტანი და ტიბეტი, ჩინელები მანგოლთა ჩამამავლობის არიან საზოგადოთ ჩინელი საშვალო ტანისაა ყვითელი ფერის თავი მოგროძო, პირისახე მრგვალი, ძრიელ ამაღლებული ყვრომალი, ცხვირი დაბალი და პატირა ვიწრო და მრუდე მდებარე თვალები, ქოსა კიკინა წვერები და შავი მოუხეშელი თმა. ჩინეთი წარმოადგენს ერთს კურთხეულს ქვეყანას მთელ დედამიწის ზურგზე: მდინარეთა სიუხვე, თბილი და ვამტანი ჰვა, მცენარეთა ნაყ-

დაფიქრება, მშრომელი ხალხი და ზუთიერთ შორის თანხმობა რაღაც მომჯადოებელ შესვლულს აძლევენ ჩინეთის უზარ მასარ იმპერიას. დამკვიდრებულა რა ჩინელი ამ კურთხეულ ქვეყანაში არ ზოგავს არც ძალ დონეს და არც რაიმე მოხერხებას რომ მიწიდგან ზომანზე, მეტი მოსავალი მოიყვანოს თუმცა მიწა ჩინელების საკუთრებას შეადგენს, მაგრამ თუ რომელიმე საზოგადოების წევრმა თავი სიზარმაცეს ნისლა და მიწა გააუდინა მას მიწის მცლობელობას ჩამუარამევენ და სხვას გადასტევენ, რადგანაც ჩინელების აზრით, ამ გვარი საზოგადოების წევრი ყველას წინაშე დამნაშავეა და მოალაატეა ამისთვისაც ყოველი ჩინელი შესანიშნავი მიწად მომქმედია, ერთსა და იმავე მიწიდგან ჩინელს რი მოსავალი მოყავს და თვით მიწის სინოყიერე არამც თუ კლებულობს, არამედ ამ ორასი წლის წინაზე ყოფილზე უმთრო ნოყიერდება. რა საკვირველია ეს დიმოკიდებულია მიწის თვისებაზე, მაგრამ ჩინელებიც თავის მხრით იმ გვარი სერხით გამოცდილებით აპატიებენ მიწას, რომ თუმცა ჩინეთი მკიდროდ დასახლებული ქვეყანაა მაგრამ იგი კვებავს თვის ოთხას მილიონიან მცნოვრებს და პური საზღვარ გარეთაც გააქვთ მაწად მოქმედება ჩინეთში განსაკუთრებით პატივდება. შია: თვით იმპერატორი შესანიშნავი მიწად მომქმედია. ძველებულ ჩვეულებისამებრ წელიწადში ერთხელ იმპერატორი გლეხურად გამეეწყობა გამოვა მისთვის საგაზებოთყ ნონზადტულ მინდორში და იწყებს ხენას იგი

სამს კვალს წინ გაავლებს, სამს უკან, მის მაგალითზე მიყვებიან დანარჩენნი, ამ წეს რიგში მოწვეულნი პირნი მანდარინები, იმპერატორის ნათესაობა, მოხელენი და სხვა დიდ კაცობა. ამავე წეს რიგით სრულდება ხენა საოლქო ქალაქებში, ოლქის უმჭუროსებისაგან. ყველაზე მეტს ჩინელები ბრინჯს სთესვენ. სთესვენ აგრეთვე ბანბას, პურს, ქერს, ფეტვს, შაქრის ლერწამს, ჩაის მცენარეს და სხვას, მაგრამ ბრინჯი ჩინელისათვის უპირველესი საქმელია. მოჰყავთ აგრეთვე ლიმონი, ფორთოხალი და ატამიცა. ჩინელებს საშენებელი ტყეც აქვთ, მაგრამ ეს ტყე უმეტეს ნაწილად შესდგება ერთგვარი ხისაგან რომელსაც „ბანბუკს“ ეძახიან, არც საკვირველია ამის შემდეგ, რომ ჩინელები ყოველივე სტოლის მოწყობილებას და სახლის ავეჯს ამ ხისაგან აკეთებენ, ასე გასინჯეთ ალაგ ალაგ პატარა სახლებსაც კი შეხვდებით ამ ხის ფოთლებისაგან დახურულს. ჩინელები სათბობათ შეშას არ ხმარობენ, ამის მაგივრობას მცენარეების ძირებს და ღეროებს აწევიან. ოთახსაც ჩინეთში არ ათბობენ ხოლო სიცივისაგან დასაფარავად ჩინელი თბილ ბანბიან ტანისამოს იკერავს. ჩინეთში ქვა ნახშირიც ბლომად არის, მაგრამ მიხილხიერიანად წარმოება ჯერ არ დაწყებულა. ჩინელს ძრიელ ხელ მოჭერილი ცხვრება უყვარს ხორციელში იმ პირუტყვს ხოცს რომელსაც კაცი არარჯულებს ნაკლებად სჭამს. რადგანაც ამ პირუტყვებს ჩინელები თანაშემწეებად სთელიან. ხორციელ შისჭამენ: ღორს-

კატას, ძალს, თავს, აბრეშუმის ჭიას, მგლის ხორცს. მაგრამ შავი კატა და მერცხლის ბუდე ჩინელებისთვის საუკეთესო საჭმელს შეადგენს. ჩინეთში მერცხალი ბუდეს ერთ გვარი ზღვის ბალახის წებოსაგან აკეთებს და როგორც ამბობენ ძრიელ გემრიელი და ნოყიერი საჭმელიც არის. როგორც ჭამაში, ეგრეთვე სმაშიაც ძალიან თავდაჭერილად იქცევიან, თუმცა ჩინეთში არაყს ბლომად ხდიან, მაგრამ ამ ერთ ჭირს აშორებული ჩინელი მეორე ჭირს ეჭიდება: ჩინეთში გავრცელებულია ოპიუმის წვეა- ოპიუმი წვენია ერთგვარი მცენარის „მაკისა“, იგი ძლიერ ცუდათ მოქმედობს კაცზე, ახმობს, აყვითლებს, ხსოვნას უკარგავს და სამარეს უახლოებს. თუმცა კანონიც სასტიკათ უკრძალავს ოპიუმის ხმარებას, მაგრამ მიუხედავად ამისა ჩინეთში ოპიუმის ხმარება დღით დღე მატულობს.

ჩინეთი ჩაის სამშობლოა, იგი ძრიელ მაღალია არ იზრდება ხარობს მაღალგორაკების ფერდობებზე, ჩაი მარცვალზე ანადის. ოთხი წლის შემდეგ მისგან ფოთლებს კრეფენ და ხარობს თორმეტს წლამდის. საუკვეთესო ჩაის კრეფას მარტის გასულს შეუდგებიან ხოლმე, ცოტა ხნით მზეზედ აჭკნობენ, მერე ნელ ცეცხლზე თუჯის ქვაბებს შედგმენ. შიგ ჰყრიან ჩაის ფოთლებს და ჯოხებით ხშირად ურევენ, როცა სინესტე გამოეღევა ფოთლებს მაშინ ამოიღებენ და ხელით სრესენ და შემდეგ ანმობენ. მდიდა

რი ხალხი ჩინეთში საუკვეთესო ჩაის ხმარობს, მაგრამ ღარიბნი არც ტირიფის ფოთლების ჩაის დაგიწუნებენ მამაკაცები ჩინეთში თავსა და წვერებს იპარსავენ მაგრამ ქოჩორს იტოვებენ და ჩვენებურ ქალებივით იწნავენ. ტაინისამოს ფართე ფართაშას იკვრავენ, კრელი აბრეშუმის ან ბამბეულიასგან, ფეხზე ქოშებს იცმენ და თავზე ჩალისაგან მოწნულ შლიაპას იხურავენ ქალების ტანისამოსი მამაკაცების ტანისამოსისაგან ბევრად არაფრით გაირჩევა, მაგრამ წარბების შავად შეღებვა ფერუმარულით პირის სახის შეგლესა და თავის კოხტობა ჩინელთა ქალებში ძრიელ განწირებულთაა. გარდა ფერ უმარულისა ჩინელების ქალებში ერთი სხვა უმსგავსი ჩვეულებაც არსებობს. თუ ჩინეთში ქალს პატარა ფეხები არ აქვს იგი უსათუოდ გაუთხოვარი დარჩება, ამისთვისაც პატარაობიდანვე ქალიშვილებს ფეხებს უკრავენ და ამით ფეხები უმაჩინჯდებოდათ; ასე გაშინჯეთ სიარულსაც კი უშლისთ. ცოლ შეურავი ვაჟი ჩინეთში ნაკლებად დარჩება. უცოლოების კანონი სასტიკად სდევნის, ამიტომ ჩინელი ქალს სიყმაწვილეში ირთავს და თუ ოცდაათ წელს გადაცდამაშინ, კანონის ძალა ათ შერთავენ ცოლს. ჩინელის ფიქრით ცოლი ქმრის მოწაა იგი ქმრის აჩრდილი უნდა იყოს მაგრამ მიუხედავად ამისა ცოლი ოჯახში ქმარის მეგობარი მეუღლეა და ამხანაგია. ნაკლებად თუ ვისმეს გაუგონია რომ ჩინელს ცოლისთვის ეცემნოს

შვილი კი დედი. მამის ყმა არის, იგი დედ მამის შეურ-  
აცხადობისთვის შვილს კანონი ჩამოღობით სჯის.  
ქაღალის წეს რაკში სხვათა შორის ჩინეთში ერთი.  
რამ საყურადღებოა: როცა ჩინელს ახლად ნათხავი ცო-  
ლი მიზველად სახლში მიჰყავს, მიუხლოვდებიან თუ  
ხრამ ეზოს იქ დაპოებენ პატარა ცეცხლს მიიყვანებენ  
დედოვალს ნასილკით და გააჩერებენ ცეცხლზე რათა  
სახლში მავნე სულები არ შეჰყვეს ჩინეთში რამოდენი-  
მე საჩუქრად არსებობს: ქრისტიანები იქ ძლიერ  
ცოტანი არიან, მაჰმადიანები კი თათქმის ოც მილიონ-  
ნსაც აღემატებიან და დანარჩენნი ჩინელები კი თათ-  
ქმის წარმართები არიან უმეტესად ბუდას მოძღვრების  
მისდევნენ. ჩინეთში ყოველი სოფელი და ქალაქი ვალდებულ  
ბუდას იქ ორიოთხ სკოლა ხოლო მშობლები ვალდებულნი  
არიან თავიანთ შვილებს წერა კითხვა და საჭ-  
შობლო ისტორია ასწავლონ. ჩინელებს ჩვენსავით ან-  
ბანი არა ქვს მათ ყოველი სიტყვის გამოსახატავად თი-  
თეული განსაკუთრებული ნიშანი აქვთ, ამისთვისაც ჩი-  
ნური წერა კითხვის სწავლა ძრიელ ძნელია, მაგრამ  
პატარა ჩინელი გულ მოდგინეთ სწავლობს და აადვი-  
ლებს ამ სიძნელეს, როცა გაათავებს სწავლას, დედ  
მამა ოჯახში დღეისაწაუღს იხდის; სადილოს დროს  
ახლად სწავლა გათავებულს ხელში ქუდს აძლევენ  
ნაშინდ დაფაჟკაცებისა და სრული წლოვანებისა. როგორც  
ანბანი ისე ენა ჩინური ძრიელ ძნელია.  
ჩინელი გულ მოდგინე, პატიოსანი, თავდაჭერილი და

ყველასათვის კეთილის მსურველი ხალხია ჯერეთ მაგალითიც არ ყოფილენ ჩინელ მოხელეს. რომ მიბარებულნი ფული გაეფლანგოს და მოეპაროს. უცხო ქვეყნელს დღემდის შეეძლო მთელი ჩინეთი, შემოეკლავა კი დაღვან კიდემდე და ვერავინაგან შეურაცყოფას, უშვერ სიტყვას ვერ გაიგონებდა. სიტყვა პასუხში პატიოსნება და ზრდილობიანობა, სტუმართ მოყვარეობა თავ დაჭერილობა და სათნოება მდიდარ და ღარიბ ჩინელის კუთნილებაა სხვა ხალხს ჩინეთში ზრდილობით ვაჭრებიც არ ჩამორჩებიან: ჩინელ ვაჭარს ნაკლებად შეისწრებ რომ თვის საქონელს და სავაჭროს აქებდეს ან მუშტარი ძალით შეჰყავდეს მალაზიაში. თითუელმა ჩინელმა კარგად იცის თუ როგორ მოიქცეს, საყდარში, გარეთ საზოგადოებაში, სასამართლოში სახლში სტუმართან მეზობლებთან, დიდსა და პატარასთან, იგი ზნე ჩვეულებებებს ჯერ სახლში დედ მამასთან სწავლობს და მერე სკოლაში ამთავრებს, აბრეშუმის მოყვანა ძლიერ გაზშირებულია ჩინეთში. ჩინელების თქმულობით აბრეშუმის ჭია ჩინეთში რამოდენაჲ ათასი წელი არსებობს იგი პირველად ერთ იმპერატორიკას აღმოუჩინია, რომელსაც მისი მოვლა მოყვანა ხალხისათვის უსწავლებია ხალხსაც მის პატივ საცემად, მის სახელაბაზე ტაძარი აუშენებია და დღემდის ყოველ დღესასწაულ დღეს მსხვერპლს სწირავენ. როგორც მიწად მოქმედების მფარველად იმპერატორი ითვლება, ისე მეაბრეშუმობის მფარველად იმპერატორიკა ითვლება. იმპერატორიკა



აბრეშუმის ჭიის დღესასწაული დღეს მსხვერპლს სწირავენ აბრეშუმის მომგონს და შემდეგ, პირველად, იმპერატრიცა ჰკრეფავს თუთის ფოთლებს დააჭმევს აბრეშუმის კიებს. თუმცა აბრეშუმეულება სხვაკუთხებშიდაც ბლომად მზადება მაგრამ ჩინეთში საუკეთესო აბრეშუმეულობას გვაწვდის. სხვადა სხვა ხელობაშიაც ჩინელები ევროპელებს არ ჩამორჩებიან, ფარფორის ბრონძის ნაკეთებულობა, საღებრო ხელობა ხელოვნური ყვავილები, ჩინეთის ტუშში, ლაქში დაფერული ნაკეთებულება ჩინეთისა, მთელს ქვეყანაზე საუკეთესო ნაწარმოებთ ითვლებიან. ჩინეთის ფოლადი ინგლისისაზე ბევრად უკეთესია. საწერი ქალაქის და კომპასის აღმოჩენა ჩინელებს ეკუთვნის. თვით წიგნის ბეჭდვის საქმე, სანამ ევროპაში გამოიგონებდნენ ჩინელებმა ათასი წლის წინეთ იცოდნენ. ტეატრი ჩინელებისათვის უპირველესი გასართობია, თვითეულს ქალაქში რამოდენიმე ტეატრია. ქალაქებს სოფლებიც არ ჩამორჩებიან. სოფლის ტეატრებისათვის ჩინეთში არსებობენ „მოხეტიალე ტრუპები“ და მათ წარმოდგენას ხალხი მთელი კვირაობით ვულ მოდგინეთ ესწრება. გარდა ტეატრისა ჩინელებს სხვადა სხვა გასართობიც ძლიერ უყვარსთ ხშირად ნახავთ ერთ ვილაც მაწანწალა თვალ მაქცს, ათასობით ჩინელი მისდევს უკან, ეძებს დროს რომ მას რაიმე წარმოდგენა გაამართვინოს. ჯარი ჩინეთში ორ ნაწილად იყოფა; მანჯურას ჯარი და ჩინეთის ჯარი. პირველი

გაომჰყავთ მანჯურიიდან რომლებსაც დიდი ხანია დაუპყრიათ ჩინეთი და მის ტახტზე აუყვანიათ ერთი თავის წაწმინდგენელთაგანი როლის გვარიც დღემდის მეფობს ჩინეთში. ამისთვის მანჯურიის ჯარი საუკვეთესოდ ითვლება, მათ აბარიათ უპირველესი სიმაგრეები ციხეები და საუკვეთესო ქალაქები. მეორე ნაწილი ჯარისა ჩინელებისაგან შედგება, ეს ჯარი გაწესრიგებულია მთელს ჩინეთში, სცხოვრობენ თავიანთ სახლებში და საზღვრად ტან ფეხზე თითონვე ზრუნავენ. ორივე ნაწილი ჯარისა დღემდის ძრიელ სუსტი შეიარაღებული იყვნენ და ნამდვილი მეომრის გაწვრთნა ასში ერთს არ ჰქონია, მაგრამ იაპონიასთან ომმა ჩინელები გამოადვიდა და მგონია ამ ცოტა ხანში ომიანობისთვის ისე მოემზადება რომ ევროპის მეომარი ჩინელისას გვერდშია ცვერ ამოუდგეს. ჩინეთის ქალაქი პეკინია, გარდა პეკინისა დიდ ქალაქებად ითვლებიან: ნანკინი, კანტონი, ხონკაუ, და სხვანი. როგოც ზემოთაც ვთქვით ჩინეთი შეადგენენ: თვით შუა გული ჩინეთი, მანჯურია მონგოლია, აღმოსავლეთის თურქესტანი და ტიბეტი. პირველი მანჯურია სძევს ჩრდილოეთით რუსეთის სამხლევარზე. მანგოლია მდებარეობს დასავლელით და რამოდენიმე პატარ-პატარა სამთავროებათ არის დაყოფილი. მანგოლიის სატახტო ქალაქი ურგაა, შესანიშნავი ქალაქი, მაიმაჩინი. აღმოსავლეთით თურქესტანი სილა ადგილია, შესანიშნავი ქალაქები: იპრკენდი და კავშირი ტიბეტი სძევს თვით შუა გულ აზიაში, მაღლობი მდე-

ბარეობა აქვს და იწოდება საღმრთო ქალად ტიბეტი. ბუდას მონასტრებით არის საესე, აქეთ იმყოფება უმთავრესი ქურუმნი დილაილამა, რომელიც მართავს მთელს იმპერიას. უმთავრესი ქალაქი ტიბეტისაა ლასაა. ადგილ სამყოფი დილაილამასი.

ჩინეთს დღემდის თითქმის ეძინა და სახელმწიფოებს უმეტეს ნაწილად კეთილი განწყობილება ჰქონდა.

ევროპიელები ჩინეთში, როგორც თავის ოჯახში ისე მოქმედობდნენ, მაგრამ ჩინეთსაც მოწყინდა ამდენი ხანი მათი თავისუფლად თარეზობა. ჩინეთში ევროპიელთა წინააღმდეგ შედგა სექტა, რომელთაც „მოკრებები, დაირქვეს. ისინი ხალხს აგულდიანებენ ევროპიელთა წინააღმდეგ საომრად და თან სექტის წევრებს ჰპირდაბან რომ ამ სექტაში ყოფის წინააღმდეგ არავითარი იარაღი არ მომქმედობსო. ამ გვარად სექტა გაძლიერდა და თითქმის ნახევარი ჩინეთი აიყოლია, შეესივნ ევროპიელების უბნებს, საელჩოებს მისიონერებს, და ულექტა დაუწყეს. ამ მოძრაობამ მალე მიიქცია ევროპისა და ამერიკის ყურადღება ნახეს რა მათ, ადვილობრივი მთავრობა არ თანაუგრძნობდა „მოკრივეებს,“ და ან ვერ შესძლებს მის დაწყნარებასო, მაშინ სწრაფათ ყველა სახელმწიფომ თავიანთი ჯარი წარგზავნა ჩინეთში რომელნიც დღესაც იქ არიან. რამ ააღწევა მშვიდი და უწყინარი ჩინეთი ასე მოულოდნელად? აი საკითხი ამაზე ბევრი ლაპარაკობენ: ზოგი ამბობებს ეკონომიური მიზეზებით ხსნის, ვიორც ევროპის განათლებამ მუშა

ხალხს სამუშაო მოუსპო და მით ხელიდგან ლუკმის  
გამოცლას პირდებოდნენო.

ზოგი ბრალს დასავლეთ ევროპის მისიონერებს ადებს  
გაზეთები ერთხმად მოგვითხრობენ, რომ ჩინეთში ბუ-  
ნებით მშვიდობის მოყვარე ხალხია, ხოლო თუ ებლა  
ჩინელები ევროპელებს არ ინდობენ, აქაში დამნაშავე-  
ედ მარტო მისიონერები არიან.

იათეოზ ბერაძე



# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

## წიგნის მალაზია მიხეილ გაჩეჩილაძის

გვაქს ყოველ გვარი სახელმძღვანელო რუსული და ქართული წიგნები. დიდ ძალი დამზადებული რვეულები და ყოველ გვარი კანცელარიის მოწყობილობის ნივთები: ქალაქი კალაში მელანი კარანდაში და სხვ.

ტასები ზომიერია

წიგნის მალაზია მოთავსებულია სტამბის გვერდზე დაბა ყვირილაში.

# განცხადება

ახალი მსწრაფლ-მბეჭდავი სტამბა

მ. გაჩეჩილაძისა.

ვიღებთ ყოველ-გვარ სასტამბო საქმეებს  
გასაკეთებლათ მაგ. წიგნებს, განცხადებებს, აფი-  
შებს, სამგლოვიარო და საქორწინო ბარათებს,  
სხვა-და-სხვა ბლანკებს სავიზიტო ბარათებს და  
სხვა-და-სხვა.

ყოველივე ჩვენს სტამბაში მზადდება სუფ-  
თად სწრაფად და იაფად. სტამბა მოთავსებუ-  
ლია საკუთარს ჩვენ სახლში დ. ყვირილაში.

შასი სამი კაპიკი